ოქმი N 12

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო
კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2022 წლის 22 ნოემბერი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ლევანი ლიპარტია
2. მამუკა ქარდავა
3. სერგო ბერაია
4. მალხაზი იოსავა
5. გურიელ ქარდავა
6. ბადრი რიჟამაძე
7. ფელიქსი წურწუმია
8. ნინო ბოკუჩავა
9. ფრიდონი შონია
10. აკაკი მალანია

სხდომას თავმჯდომარეობდა ლ. ლიპარტია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 14.11.2022 წლის N50-502231831 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების განხილვის თაობაზე).

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 15 ნოემბრის N04-502231265 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-სექტემბრის თვის შესრულების შედეგების შესახებ" ანგარიშის მოსმენის თაობაზე)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10, წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 14.11.2022 წლის N: 50-502231831 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების განხილვის თაობაზე)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტი, რომელიც მერიის მიერ კანონით გათვალისწინებულ ვადებში იქნა წარმოდგენილი, საკრებულოს აპარატის მხრიდან საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე და სოციალურ გვერდზე გამოქვეყნებულია ბიუჯეტის პროექტი, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმდინარე წლის 25 ნოემბრამდე წარმოადგინონ წინადადებები ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, სამწუხაროდ დღემდე არცერთი წინადადება არ შემოსულა. ბიუჯეტის საჯარო განხილვა დაგეგმილია დღეს, 22 ნოემბერს. პროექტის დეტალური შესწავლის შემდეგ მიზანშეწონილად მიმაჩნია შევიდეს შემდეგი ცვლილებები წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში, კერძოდ: გადაიხედოს ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის და შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების" დირექტორის მოადგილეების სახელფასო სარგოები, რათა შესაბამისობაში მოვიდეს მათი სარგოები მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ხელმძღვანელების მოადგილეების სარგოებთან.

მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს სრულფასოვნად მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს ამ მიმართულებით ბიუჯეტის შესაძლებლობიდან გამომდინარე გარკვეული თანხები (აღნიშნულზე საქართველოს პარლამენტიდან საკრებულოში მიღებული რეკომენდაცია გადაგზავნილი იყო მუნიციპალიტეტის მერიაში).

ამასთან, საკრებულოს ბიუჯეტში დასაკორექტირებელია შემდეგი მუხლები: „არაფინანსურ აქტივებში" ნაცვლად 2 კომპიუტერის კომპლექტისა გასათვალისწინებელია 5 ერთეული; ქსეროქსი მრავალფუნქციური პრინტერი (შავ-თეთრი) ნაცვლად 1 ერთეულისა 4 ერთეული; მუხლი „ოფისის ხარჯები" ქაღალდი საბეჭდი 80 გრ/500 ნაცვლად 130-ისა 250 შეკვრა; მონიტორი 3 ერთეული ნაცვლად 2 ერთეულისა; კომპიუტერის სკამი 5 ერთეულის საცალო ღირებულება 250 ლარი ნაცვლად 150 ლარისა; სკამი 40 ერთეული ნაცვლად 70 ერთეულისა, ერთეულის ფასი 100 ლარი ნაცვლად 40 ლარისა; გორგოლაჭიანი სავარძელი ერთეულის ღირებულება 400 ლარი, ნაცვლად 300 ლარისა; კონდიციონერის მონტაჟი-დემონტაჟი თანხა 1500 ლარი ნაცვლად 800 ლარისა; მუხლი „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები" ზეთი 80 ლიტრი ნაცვლად 60 ლიტრისა და ზეთის ფილტრი 10 ერთეული ნაცვლად 8 ერთეულისა.

საკრებულოს ბიუჯეტს დაემატოს შემდეგი ღონისძიებების დაფინანსება: მუხლში „არაფინანსური აქტივები" პორტაბელური კომპიუტერი (ლეპტოპი) 2 ერთეული, ერთეულის ფასი 2000 ლარი, ჯამში 4000 ლარი; მუხლი „ოფისის ხარჯები" დიოდური ნათურები (მაგნიტური სამაგრით, მოდული 18) 30 ერთეული, ერთეულის ფასი 25 ლარი, ჯამში 750 ლარი; მუხლი „საქონელი და მომსახურება" დაემატოს 1 შტატგარეშე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - თანამდებობრივი სარგო 1100 ლარი, ჯამში 13200 ლარი. კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი წინადადებები წარედგინოს მუნიციპალიტეტის მერიას, როგორც საჯარო განხილვაზე, ასევე წერილობითი სახით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოეთქვათ მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან და წინადადებასთან დაკავშირებით

კომისიის წევრები ერთხმად დაეთანხმდნენ კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ წინადადებას

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10, წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის მიერ წარმოდგენილი შენიშვნები და წინადადებები წარედგინოს მუნიციპალიტეტის მერიას, როგორც საჯარო განხილვაზე ასევე წერილობითი სახით.

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 15 ნოემბრის N04-502231265 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-სექტემბრის თვის შესრულების შედეგების შესახებ" ანგარიშის მოსმენის თაობაზე)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-სექტემბრის თვის შესრულების შედეგების ანგარიში, რომლის თანახმადაც 2022წლის ადგილობრივი ბიუჯეტი საშემოსავლო ნაწილში გაისაზღვრა 13682,5 ათასი ლარის და ხოლო საგასავლო ნაწილში 13682,5 ათასი ლარის ოდენობით. 2022 წლის იანვარ-სექტემბრის პერიოდში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა საშემოსავლო ნაწილში 21339,7 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 24578,6 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 9892,2 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტებია ინფრასტრუქტურის განვითარებისა და დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

2022 წლის იანვარ-სექტემბრის თვის ბიუჯეტის შესრულების შედეგებით შემოსულობების გეგმა შესრულებულია 62,5 %-ით (წლური გეგმა 21339,7 ათასი ლარი - ცხრა თვის შესრულება 13336,9 ათასი ლარი), საგადასახადო შემოსავლები გეგმიური წლიური 9916,0 ათასი ლარიდან ცხრა თვეში შემოსულია 7306,0 ათასი ლარი- 2610,0 ათასი ლარით ნაკლები.

გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან იანვარ- სექტემბრის თვეში მიღებულია 4774,2 ათასი ლარი, აქედან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 699,9 ათასი ლარი, ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების განსახორციელებლად 4074,3 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები 2022 წლის იანვარ- სექტემბრის პერიოდში წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული 970,8 ათასი ლარიდან ბიუჯეტში ცხრა თვეში შემოსულია 1169,1 ათასი ლარი - 198,3 ათასი ლარით მეტი. მ/შორის მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის წლიური გეგმიური 160,0 ათასი ლარიდან შემოსულია 173,9 ათასი ლარი- 13,9 ათასი ლარით მეტი. მიწის იჯარიდან მოსაკრებელი წლიური 70,0 ათასი ლარიდან შემოსულია 114,3 ათასი ლარი 44,3 ათასი ლარით მეტი. სანებართვო მოსაკრებელი წლიური გეგმით 10,0 ათასი ლარიდან შემოსულია

6,7 ათასი ლარი 3,3 ათასი ლარით ნაკლები. შემოსავალი ჯარიმებიდან და სანქციებიდან წლიური გეგმიური 480,0 ათასი ლარიდან შემოსულია 449,4 ათასი ლარი-30,6 ათასი ლარით ნაკლები. მოსაკრებელი ტერიტორიის დასუფთავებისათვის წლიური გეგმიური 32,8 ათასი ლარიდან შემოსულია 25,2 ათასი ლარი, შემოსავლები მომსახურების გაწევიდან წლიური გეგმიური 28,0 ათასი ლარიდან შემოსულია 12,0 ათასი ლარი.

შემოსულობები არაფინანსური აქტივების კლებიდან, წლიური გეგმიური 560,7 ათასი ლარიდან ცხრა თვეში შემოსულია 87,6 ათასი ლარი - ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 33,8 ათასი ლარი ხოლო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო მიწის გაყიდვიდან 53,8 ათასი ლარი.

2022 წლის წლიური ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი ათვისებულია 49,8 % (წლიური გეგმა 24578,6 ათასი ლარი იანვარ- სექტემბრის თვის ფაქტიური შესრულება 12243,6 ათასი ლარი) რაც მოდის შემდეგ ღონისძიებებში კერძოდ: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯი წლიური გეგმით გათვალისწინებული 4961,1 ათასი ლარიდან ათვისებულია 3201,3 ათასი ლარი. აქედან საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება წლიური 4809,8 ათასი ლარიდან ცხრა თვეში ათვისებულია 3162,2 ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – წლიური გეგმით გათვალისწინებული 13513,6 ათასი ლარიდან ათვისებულია 4944,5 ათასი ლარი. აქედან საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯია 3078,0 ათასი ლარი და კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაციის - 1630,9 ათასი ლარი, სარწყავი არხებისა დანაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია 0,0 ათასი ლარი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება- 152,3 ათასი ლარით. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ათვისებულია 68,3 ათასი ლარი და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა თანადაფინანსებიტ გახარჯულია 15,0 ათასი ლარი.

დასუფთავება და გარემოს დაცვა- წლიური 585,6 თასი ლარიდან იანვარ სექტემბრის თვეში ათვისებულია 400,1 ათასი ლარი.

საგანმანათლებლო ღონისძიებები წლიური გეგმიური 3012,4 ათასი ლარიდან ათვისებულია 2028,8 ათასი ლარი, მ/შორის: ა(ა)იპ ,,სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების" დაფინანსება 1438,2 ათასი ლარია. საჯარო სკოლების დაფინანსება - 690,6 ათასი ლარი.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები წლიური გეგმიური 1628,0 ათასი ლარიდან ათვისებულია 1056,4 ათასი ლარი. აქედან, სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 206,8 ათასი ლარი, რელიგიური ორგანიზაციების 10,3 ათასი ლარი, კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა 839,3 ათასი ლარი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2022 წლის გეგმიური 877,9 ათასი ლარიდან ათვისებულია 612,5 ათასი ლარი, აქედან მოსახლეობის ჯანდაცვის პროგრამები - 151,4 ათასი ლარი, მოსახლეობის სოციალური დაცვის პროგრამით 284,8 ათასი ლარია ათვისებული, უმწეო მდგომარეობაში მყოფ პირთა ერთდროული ფულადი დახმარების სახით გაცემულია 22,9 ათასი ლარი, ხანძრისა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარებისათვის 11,5 ათასი ლარია გახარჯული ხოლო მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით 141,9 ათასი ლარია ათვისებული.

ფულადი სახსრების ნაშთი 2022 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით 6029,7 ათასი ლარია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით ანგარიშის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევანი ლიპარტია